ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №1217

ქ. თელავი 19 დეკემბერი 2011 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ თელავის მუნიციპალიტეტი, გამგებლის პეტრე კიკნაძის სახით, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ იმ თემურ ზუროშვილის სახით, შემდგომში წოდებული „მიმწოდებელი“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1 ცალი წყლის მრიცხველის შესყიდვა. ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. კლასიფიკატორის კოდი–38500000 დაფინანსების წყარო – ადგილობრივი ბიუჯეტი.

2. ხელშეკრულების ობიექტი

„მიმწოდებელი“ ვალდებულია გადასცეს „შემსყიდველს“ 1 ცალი წყლის მრიცხველი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

3.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. საქონლის მიწოდების ვადა განისაზღვრება 2011 წლის 30 დეკემბრამდე.

3.2. საქონლის მიწოდების ადგილი: ქალაქი თელავი, ერეკლე II გამზირი №16.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. “შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ მოქმედებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის სრული დაცვით.

4.2. შესყიდვის ობიექტის (ეტაპების) მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით „შემსყიდველსა“ და „მიმწოდებლს“ ან უფლებამოსილ წარმომადგენლებს შორის.

4.3. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

ა. გადაუხადოს „მიმწოდებელს“ შეთანხმებული ფასი;

ბ. მიიღოს საფასურის შესაბამისი ქონება.

5.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

ა. უკან დაუბრუნოს „მიმწოდებელს“ მიწოდებული საქონელი, თუ მისი ხარისხი არ შეესაბამება სტანდარტებს და ხარისხს.

5.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

ა. გადასცეს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი დადგენილ ვადებში;

ბ. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

5.4. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

ა. მოსთხოვოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი.

6. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 100 (ასი) ლარი.

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1. მომსახურების ღირებულების გადახდა ხდება „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების ან ა/ფაქტურის და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

7.2. მიწოდებული სამუშაოს სრული ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

8 .ფორს-მაჟორი

8.1 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემკვეთსა და/ან შემსრულებელს შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინის და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორი, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9.დავები და მათი გადაწყვეტის წესი

მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2011 წლის 30 დეკემბრამდე.

11. სხვა პირობები

11.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

11.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

11.3. ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11.4. ხელშეკრულებით დაფიქსირებული ფასის ყოველი შეცვლა მხარეების მიერ ფორმდება დოკუმენტალურად.

12. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“
თელავის მუნიციპალიტეტი
ს.კ. 231280093
ქ. თელავი, ერეკლე II №16

„მიმწოდებელი“
იმ თემურ ზუროშვილი
ქ.თელავი, ბაზრის მიმ.ტერიტორია
ს/კ 20001042897
სს სტანდარტ ბანკი
ბანკის კოდი 220101945
ანგ.N 4000236239

„შემსყიდველი“ ----------

„მიმწოდებელი“----------